# საბჭოთა ხალხის დიადი გამარჯვება

(ჰიტლერულ გერმანიაზე გამარჯვების 20 წლისთავისათვის)




„ვერასოდეს ვერ დაამარცხებენ იმ ხალხს, რომელშიც მუშათა და გლეხთა უმრავლესობამ გაიგო, შეიგრძნო და დაინახა, რომ იგი იცავს თავის, საბჭოთა ხელისუფლებას —მშრომელთა ხელისუფლებას"...

ვ. ი. ლენინი.



საქდესის ფოტოქრონიკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა




საბჭოთა კავშირის გმირი იაკობ პავლოვი ნოვგოროდელ მოსწავლეთა შორის. დიადი ბრძო-ლების მონაწილე იგონებს „გარდასულ დღეთ"...

ოცი წელი გავიდა დიდი სამამულო ომის ძლევამოსილი დამთავრებიდან. საბჭოთა ხალ-ხისა და მისი მეომრების უმაგალითო თავდადება, რომელთაც თავიანთ მხრებზე გადაიტანეს ფაშიზმთან ბრძოლის უმთავრესი სიმძიმე, მარად იცოცხლებს მომავალი თაობების გულში.

ფურცელი 2

საქტაგის ფოტოქრონიკა

ეროვნული ბიბლიოთეკა



ფაშისტური ჯარები ბუგავენ საბჭოთა მიწას.



ჰიტლერელთა ურდოები ოკუპირებულ ქალაქში.



ასე უსწორებდნენ ფაშისტი გარეწრები ანგარიშს პარტიზანებს.

დიდი სამამულო ომი უმძიმესი გამოცდა იყო საბჭოთა კავშირისათვის. უეცარი და მუხანათური თავდასხმით ფაშისტურმა გერმანიამ დაარღვია საბჭოთა ადამიანების მშვიდობიანი, შემოქმედებითი შრომა და თავს მოახვია მათ გამანადგურებელი ომი. საბჭოთა ტერიტორიაზე შემოჭრილ დიდ სატანკო და მოტორიან შენაერთებს მხარს უჭერდა ავიაციისა და ათასობით ქვემეხის ცეცხლი. საშინელ, გაუგონარ სიმხეცეს სჩადიოდა მტერი ჩვენს მშობლიურ მიწაწყალზე.



გერმანელ ფაშისტ დამპყრობთა წინააღმდეგ წმინდათაწმინდა ბრძოლის ხელმძღვანელი და წარმმართველი ძალა იყო საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია, რომელმაც მოკლე ვადაში შეძლო ქვეყნის მთელი ეკონომიური, მორალური და სამხედრო ძალების მობილიზაცია მტერზე გამარჯვებისათვის.

არტილერიით დატვირთული ეშელონის გაგზავნა ფრონტზე.

პროპაგანდისტის მგზნებარე პარტიული სიტყვა ბრძოლისაკენ მოუწოდებდა მებრძოლებს. ე. იაროსლავსკი გამოდის ჯარისკაცთა წინაშე, რომლებიც მოწინავე პოზიციებში მიეშურებიან.





სატანკო დესანტი დევნის მტერს.



ჰიტლერელთა საომარი ტექნიკა და იარაღი, რომელიც ხელთ იგდეს საბჭოთა ჯარებმა მოსკოვისათვის ბრძოლების ერთ-ერთ უბანზე.

თავდაცვით ბრძოლებში მტრისადმი შეუპოვარი წინააღმდეგობის გაწევით საბჭოთა არმიამ ჩაფუშა ჩვენი ქვეყნის „ელვისებური“ დაპყრობის ფაშისტური გეგმები. მოსკოვისათვის ბრძოლებში საბჭოთა არმიამ გააცამტვერა მითი ფაშისტთა ჯარების უძლეველობის შესახებ. ჰიტლერელთა ვარაუდი, რომ სსრ კავშირის საზოგადოებრივი და სახელმწიფოებრივი წყობილება არ აღმოჩნდებოდა მტკიცე, ასევე ჩაიფუშა.

ეროვნული ბიბლიოთეკა



მე-2 არმიის სარდალი გენე-რალ-ლეიტენანტი ვ. ი. ჩუიკოვი და სამხედრო საბჭოს წევრი კ. ა. გუროვი ესაუბრებიან ცნო-ბილ სნაიპერს ვ. გ. ზაიცევს.



არტილერისტები ცეცხლს უშენენ პირ-დაპირი დამიზნებით.



დატყვევებული ჯარისკაცები, ოფიც-რები და მტრის საომარი ტექნიკა ვოლგოგრადის ქუჩებში.



დიდ ბრძოლაში, რომელიც გაჩაღებული იყო ვოლგაზე და მტრის 330-ათასიანი დაჯგუ-ფების ალყაშემორტყმითა და ლიკვიდაციით დამთავრდა, საბჭოთა არმიამ მიაღწია ძირეულ გარდატეხას დიდი სამამულო და მთელი მეორე მსოფლიო ომის მსვლელობაში.

ეროვნული ბიბლიოთეკა



თვითმავალი არტილერია მიიწევს მოწინავე პოზიციებისაკენ.



გათავისუფლებული ბელგოროდის ქუჩებში.



ბრძოლით მოქანცულნი.

მაღალი საბრძოლო ოსტატობა, სიმტკიცე, გადაულახავი შემართება გამოიჩინეს საბჭოთა მეომრებმა კურსკის რკალისათვის სატანკო ბრძოლებში.

საბჭოთა ჯარების გამარჯვებით კურსკთან დამთავრდა ძირეული გარდატეხა ომის მსვლელობაში. ჰიტლერელებმა დაკარგეს სტრატეგიული ინიციატივა და თავდაცვაზე გადავიდნენ.

ეროვნული ბიბლიოთეკა




დნეპრის გადალახვა საბჭოთა ჯარების მიერ.



მეომართა ჯგუფი, რომელთაც დნეპრის გადალახვისათვის მიენიჭათ საბჭოთა კავშირის გმირის წოდება.

ბრძოლებით გატეხეს რა მტრის თავდაცვა, საბჭოთა ჯარებმა ერთი შეტევით გადალახეს დნეპრი—ეს უდიდესი სამდინარო დაბრკოლება. არაფერს არ შეეძლო ჩვენი მეომრების შეჩერება, ფაშისტური ჯარები ერთ დამარცხებას მეორეზე განიცდიდნენ.




საფრონტო ბრიგადა თვითმფრინავ „ილიუშინი-2"-ის აწყობაზე.

საბჭოთა ჯარების გამარჯვებანი ვოლგაზე, კურსკის მისადგომებთან და სხვა ბრძოლებში შედეგი იყო ზურგის მშრომელთა გმირული შრომისა, პარტიის ჭეშმარიტად გიგანტური ორგანიზატორული მუშაობისა შეიარაღებული ძალების განმტკიცებისათვის, მათი გამარჯვებისათვის აუცილებელი იარაღით აღჭურვისათვის.




საბჭოთა არმიის მეომრებისათვის ესტონეთის მშრომელთა სახსრებზე აგებული ტანკების გადაცემა.




პურით სავსე ოთხთვალა—საჩუქარი ლენინგრადელებს ნოვოსიბირსკის კოლმეურნეობა „ნოვაია ჟიზნისაგან".



საქლესის ფოტოქრონიკა

ეროვნული ბიბლიოთეკა




ს. კოვპაკის პარტიზანული შენაერთის მეთაურები იხილავენ მორიგ საბრძოლო ოპერაციას. სურათზე: ს. რუდნევი, პ. ვერშიგორა, ი. დავლოვსკი და გ. ბაზიმა.



ლენინგრადელ პარტიზანთა რაზმი საბრძოლო დავალებაზე მიდის.



მიტინგი პარტიზანთა მხარეში.

გამარჯვების მიღწევაში დიდი როლი შეასრულა საერთო-სახალხო პარტიზანულმა მოძრაობამ. პარტიზანები აქტიურ დახმარებას უწევდნენ საბჭოთა არმიას მის საბრძოლო ოპერაციებში, ძირითად ბრძოლებს აშორებდნენ მტრის დიდი ძალების ყურადღებას, აწყობდნენ ღრმა რეიდებს მოწინააღმდეგის ზურგში, სპობდნენ ათასობით ჰიტლერელს, უფსკრულებში აგზავნიდნენ მტრის ათობით ეშელონს.



პარტიაში მიღება ფრონტზე.



ასეულის მეთაური სერჟანტი ე. მასლენიკოვი ზურგიდან მიღებულ წერილს უკითხავს თავის მე-ბრძოლებს.

სამშობლოს დამცველთა პირველ რიგებში მუდამ იყვნენ კომუნისტები და კომკავშირე-ლები. თავისი პირადი მაგალითით ისინი გმირობასა და მამაცობას ნერგავდნენ მეომართა გულში. საუკეთესო ადამიანებს იღებდნენ პარტიის რიგებში. ომის პერიოდში 5300 ათას კაცზე მეტი იქნა მიღებული პარტიის წევრობის კანდიდატად და 3600 ათასზე მეტი პარტიის წევრად.

ეროვნული ბიბლიოთეკა




მებრძოლები დგამენ სასაზღვრო ნიშანს.



კოლმეურნე ანდრეევები სოფელ რეპნოედან მოუთხრობენ თავიანთ გამათავისუფლებლებს, თუ როგორ გადაბუგეს ფაშისტებმა უკან დახევის დროს მათი სოფელი.



შეტევა დასავლეთზე გრძელდება.

1944 წელს, ჰიტლერელთა ჯარების სასტიკი წინააღმდეგობის მიუხედავად, საბჭოთა არმიამ და სამხედრო-საზღვაო ფლოტმა მთლიანად გაათავისუფლეს მტრისაგან თავისი სამშობლოს ტერიტორია. ამავე დროს ჩვენი ჯარები წარმატებით ავითარებდნენ შეტევას.

ეროვნული ბიბლიოთეკა



პრალის მცხოვრებნი ხვდებიან საბჭოთა მეომრებს.



საბჭოთა ჯარისკაცები კომპოზიტორ შტრაუსის საფლავთან ვენაში.

პროლეტარული ინტერნაციონალიზმის პრინციპების ერთგული საბჭოთა არმია მიიწევდა დასავლეთისაკენ, როგორც გამათავისუფლებელი არმია, მიიწევდა და თან მოჰქონდა ევროპის ხალხებისათვის ფაშისტური მონობისაგან გათავისუფლება.

ეროვნული ბიბლიოთეკა




საბჭოთა და პოლონელი ჯარისკა-ცები გათავისუფლებული ვარშავის ქუ-ჩებში.



ჩეხოსლოვაკიის ჯარის ნაწილი. პოლკოვნიკი სვობოდა კითხულობს ბრძანებულებას ნაწილის დაჯილდოების შესახებ. 1943 წელი.

საბჭოთა არმიასთან მხარდამხარ საერთო მტრის წინააღმდეგ მამაცურად იბრძოდნენ პოლონეთის, ჩეხოსლოვაკიის, რუმინეთის, ბულგარეთის, იუგოსლავიის მეომრები და პარ-ტიზანები.





საბჭოთა კავშირის მარშალი რ. ი. მალინოვსკი მეომრებს გადასცემს ჯილდოებს.



საბჭოთა კავშირის მარშალი ი. ს. კონევი და გენერალ-პოლკოვნიკი კ. ს. მოსკალენკო სამეთვალყურეო პუნქტზე.



საბჭოთა კავშირის მარშალი კ. კ. როკოსოვსკი ესაუბრება ქალაქ ლიუბ-ლინის მცხოვრებლებს.

ომის მსვლელობაში განუწყვეტლივ სრულყოფილი ხდებოდა საბჭოთა საომარი ხელოვნე-ბა. ჩვენმა სამხედრო კადრებმა, რომელთაც კომუნისტური პარტია ხელმძღვანელობდა, აჩვე-ნეს თავიანთი სიმწიფე და დიდი საომარი ოპერაციების ხორცშესხმის უნარი.



საქტესეს ფოტოქრონიკა

ეროვნული ბიბლიოთეკა






საბჭოთა მზვერავები მიხეილ ეგოროვი (მარჯვნივ) და მელიტონ ქანთარია გამარჯვების დროშას აღმართავენ რეიხსტაგის შენობაზე ბერლინში. 1945 წელი.

საბჭოთა კავშირის გმირი მიხეილ ეგოროვი სტუმრად ჩამოვიდა თავის ფრონტელ მეგობართან, საბჭოთა კავშირის გმირ მელიტონ ქანთარიასთან.

1945 წლის აპრილში ფრონტის ყველა მონაკვეთზე მძაფრი შეტევების შედეგად დაიწყო ბრძოლის დამამთავრებელი ეტაპი—ბერლინის ოპერაცია. საბჭოთა ჯარებმა გაანადგურეს მტრის ურდოები და ყველა სხვა ქვეყნების ხალხებთან ერთად, რომლებიც ფაშიზმის წინააღმდეგ იბრძოდნენ, აიძულეს ჰიტლერული გერმანია წასულიყო უსიტყვო კაპიტულაციაზე.



ეროვნული ბიბლიოთეკა




გამარჯვების პარადი მოსკოვში.

საბჭოთა არმიის მიერ ჰიტლერული გერმანიის განადგურებამ მსოფლიოს ხალხები იხსნა ფაშიზმისაგან, ხელი შეუწყო სოციალისტური ბანაკის შექმნას, ეროვნულ-გამათავისუფლებელი ბრძოლის გააქტიურებას კოლონიურ და დამოკიდებულ ქვეყნებში, უჩვენა მთელ მსოფლიოს ჩვენი დიადი სამშობლოს სოციალისტური წყობილების სიცოცხლისუნარიანობა და უპირატესობა.



საქდესის ფოტოქრონიკა



დედაქალაქის მცხოვრებნი მიესალმებიან მამაც საბჭოთა მეომრებს.



საერთო-სახალხო ზეიმითა და აღტაცებით შეხვდა საბჭოთა ხალხი და მთელი პროგრესუ-ლი საზოგადოებრიობა ცნობას ფაშისტური გერმანიის განადგურების შესახებ.



გამარჯვების დღე ბუქარესტში.



საქდესის ფოტოქრონიკა

ეროვნული ბიბლიოთეკა






დიდ სამამულო ომში ძლევამოსილმა გამარჯვებამ საშუალება მისცა მილიონობით ადამიანს დაბრუნებოდა მშვიდობიან შრომას, შედგომოდა ომის მიერ დანგრეული სახალხო მეურნეობის აღდგენას.

1945 წლის მაისი. თბილისის ვოგზლის პერონი. ამაღელვებელი იყო შეხვედრა დემობილიზებულ საბჭოთა მეომრებთან.






სისხლის ფასად დაუჯდა საბ-ჭოთა ხალხს ეს გამარჯვება. ნათლად ინახავენ საბჭოთა ადამიანები დაღუპული მეომრე-ბის ხსოვნას.




ოდესაში.



პისკარევის სასაფლაოზე ლენინგრადში.





ეროვნული ბიბლიოთეკა

ელექტრონული ბიბლიოთეკა





სამხედრო ექიმი ალექსანდრა ევგენის ასული მასხულია დაუბრუნდა თავის მშვიდობიან პროფესიას. იგი ახლა აჭარის მშრომელთა ჯანმრთელობის დაცვის კეთილშობილურ საქმეს ემსახურება



დამთავრდა ომი, გაჩაღდა მშვიდობიანი, შემოქმედებითი შრომა. საბჭოთა ადამიანების ნებით ფერფლიდგან აღსდგა დანგრეული, მიწას გასწორებული ქალაქები და სოფლები. ჩვენმა ქვეყანამ მოიშუშა ომის ჭრილობები. საბჭოთა ხალხს, რომელმაც უდიდესი მსხვერპლი გაიღო ომში, სწყურია მშვიდობა, იგი იბრძვის მშვიდობისათვის, მომავალ თაობათა ბედნიერი მომავლისათვის.



საბჭოთა კავშირის გმირი რ. ბაოციცი თავის მეგობრებს შორის გაგრის მეთევზეობის კოლმეურნეობიდან, სადაც იგი ომის დაწყებამდე მუშაობდა.



საქდესის ფოტოქრონიკა



ვარშავა. ვარშავის ხელშეკრულების მონაწილე სახელმწიფოთა პოლიტიკური საკონსულტაციო საბჭოს სხდომა.



მეგობარი არმიების საერთო წვრთნაზე.



Пролетарии всех стран, соединяйтесь!

Коммунистическая партия Советского Союза

ПРАВДА

Орган Центрального Комитета Коммунистической партии Советского Союза

Пятница, 22 января 1965 года

Цена 2 коп.

КОММЮНИКЕ

совещания Политического консультативного комитета государств—участников Варшавского Договора

ითვალისწინებენ რა რეაქციული ძალების სამხედრო სამზადისს ამერიკის შეერთებული შტატების მეთაურობით, საბჭოთა კავშირი და სხვა სოციალისტური ქვეყნები ახორციელებენ ყველა საჭირო ღონისძიებას თავისი უშიშროების უზრუნველყოფისათვის.



საქდესის ფოტოქრონიკა

ეროვნული ბიბლიოთეკა



დიდი ლენინის მიერ შექმნილი, თავის ხალხთან განუყოფელად დაკავშირებული საბჭოთა შეიარაღებული ძალები სოციალისტური თანამეგობრობის ქვეყნების არმიებთან ერთად ფხიზლად დგანან კომუნიზმის მშენებელთა მშვიდობიანი შემოქმედებითი შრომის სადარაჯოზე და მუდამ მზად არიან საკადრისი პასუხი აგემონ ყველა ჯურის აგრესორებს.










საქდესის ფოტოქრონიკა